დუშეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი N2
დუშეთი

19.09.2022

სამუშაო ჯგუფის სხდომა ჩატარდა 2022 წლის 19 სექტემბერს, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27.

სამუშაო ჯგუფის წევრები:

ვასილ წიკლაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის თავჯდომარე;

თამილა ნადირაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/შ, სამუშაო ჯგუფის თავჯდომარის მოადგილე;

ანნა კაკალაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

მარინა კაიშაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნონა აფციაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ბავშვთა და ოჯახის სოციალური მუშაკი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნინო ჭინჭარაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ფსიქოლოგი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

მარიამ ავლახაშვილი - დუშეთის მუნიცუპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული სოციალური მუშაკი, სამუშაო ჯგუფის წევრი, მდივანი - სამუშაო ჯგუფის სხდომას აფორმებს ოქმის სახით;

მარიამ ბედუკაძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის სახითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

თამარ კავთელიშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დაგეგმვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ფინანსისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი.

სხდომას ესწრება სამუშაო ჯგუფის სრული შემადგენლობა, ამდენად სხდომა უფლებამოსილია გადაწყვეტილების მისაღებად.

სამუშაო ჯგუფის მდივანმა წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის N ბ132.1322218219 (01.07.2022) ბრძანების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ, მერის წარმომადგენლების შევსებული ანკეტური ფორმების სტატისტიკური მონაცემების დამუშავების, ანალიზის და საკითხების პრიორიტეტებად გამოყოფის შესახებ.

ვინაიდან დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვები არ გამოთქუმლა, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

/მომხსნებელი: მარიამ ავლახაშვილი/

აზრი გამოთქვა სხდომის თავჯდომარემ: მოცემული დროისთვის, მერის 18-ვე წარმომადგენელს სრულყოფილად აქვთ წარმოდგენილი მათსავე ადმინისტრაციულ ერთეულებში შევსებული, ჯამში 66, ანკეტური ფორმა. კითხვარების სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავება, ანალიზი და კვლევის მიგნების საფუძველზე პრიორიტეტების გამოვლენა დაევალათ სამუშაო ჯგუფის წევრებს - ნინო ჭინჭარაშვილს და მარიამ ავლახაშვილს. აღნიშნული საკითხების დასრულების შემდეგ, სამუშაო ჯგუფი უნდა გადავიდეს საჭიროებათა კვლევის ახალი ეტაპის შესრულებაზე და ჩაატაროს ფოკუსჯგუფი, რათა უკეთ გამოიკვეთოს პრიორიტეტები და საჭიროებები.

საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოთქმულა.

გადაწყვეტილება: ერთი კვირის ვადაში, სამუშაო ჯგუფის წევრებმა - ნინო ჭინჭარაშვილმა და მარიამ ავლახაშვილმა, წარმოადგინონ მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი.
სამუშაო ჯგუფის მიერ, დაიგეგმოს ფოკუსჯგუფი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა ამოიწურა, სამუშაო ჯგუფის სხდომა გამოცხადდა დამთავრებულად.

ოქმი შედგენილია ერთ პირად.

სამუშაო ჯგუფის თავჯდომარე: /ვ. წიკლაური/

კომისიის მდივანი: /მ. ავლახაშვილი/